საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/33 **24/11/2023**

რეცენზია უწყვეტი პროფესიული განათლების ონლაინ კურსზე

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს, განხილვისა და რეცენზირების მიზნით წარედგინა ონლაინ სასწავლო კურსი „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“. ონლაინ მოდული შემუშავებულია პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) მიერ, ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

ონლაინ სასწავლო მოდული ეყრდნობა ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების გლობალური ინიციატივის (GOLD) 2023 წლის გაიდლაინს და განახლებულ ეროვნულ პროტოკოლს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში, ყოველ მეათე მოზრდილ ადამიანს 40 წლის ზევით შეიძლება ჰქონდეს ფქოდ, ამავე დროს, ის ყველაზე გავრცელებულია ქვეყნებში, სადაც სიგარეტის მოწევა იყო ან არის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემა, საქართველოსთვის ეს დაავადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (როგორც მწეველობის მაღალი გავრცელების ქვეყნისთვის).

ფქოდ-ის რისკფაქტორების ზემოქმედების შემცირებითა და დაავადების ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტირებით პირველად ჯანდაცვას შეუძლია მნიშვნელოვნად შემაციროს ფქოდ-ის ტვირთი. შესაბამისად, საკითხის აქტუალობა პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის უდაოა.

ონლაინ სასწავლო მოდულში განხილულია მნიშვნელოვანი სიახლეები ფქოდ-ის მართვის თანამედროვე მიდგომებში, როგორიცაა რისკფაქტორებში მეტი ყურადღების გამახვილება არა მხოლოდ სიგარეტის წევაზე, არამედ ბიომასის წვის პროდუქტებსა და გარემოს დაბინძურებაზე; შესაბამისი საინჰალაციო მოწყობილობის შერჩევისა და ინჰალაციის ტექნიკის მნიშვნელობის ხაზგასმა; ფარმაკოლოგიური მკურნალობის რეკომენდებული თანმიმდევრობის ცვლილება LABA+LAMA-ს და LABA+ICS-ს ადგილთან დაკავშირებით მკურნალობაში; წინა გაიდლაინებით რეკომენდებული C და D ჯგუფების გაერთიანება ახალ კატეგორიაში, რომელსაც ეწოდება E (გამწვავებების გათვალისწინებით, მიუხედავად სიმპტომების გამოხატულების ხარისხისა) და ახალი სამკურნალო რეკომენდაციები

ეოზინოფილების რაოდენობის საფუძველზე; განახლებული ფქოდ-ით დაავადებულ პირთა ვაქცინაციის რეკომენდაციები; ინფორმაციის დამატება ტელერეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

ონლაინ სასწავლო კურსი ვიზუალურად წარმოდგენილია მარტივად და ადვილად აღსაქმელია პირველადი ჯანდაცვის რგოლში დასაქმებული პერსონალისთვის, მოიცავს ფქოდ-ის მართვის ყველა საკითხს, როგორიცაა რისკფაქტორების გამოკითხვა, ფქოდ-ის დადასტურება, დაავადების სიმძიმის შეფასება განახლებული ინსტრუმენტებით, მედიკამენტური და არამედიკამენტური მკურნალობის თავისებურებები და ხანგრძლივი მეთვალყურეობის ასპექტები.

შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს ფქოდ-ის მართვის განახლებული პროტოკოლის პრაქტიკულ დანერგვას, პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების ცოდნის და მიდგომების გაუმჯობესებას, რაც საბოლოო ჯამში, დადებით ზეგავლენას მოახდენს დაავადების გამოსავლებზე. ამასთანავე, ონლაინ ფორმატი მეტად მოქნილს ხდის სასწავლო მოდულს და აუმჯობესებს სასწავლო მასალაზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის, დაშორებულ ადგილებსა და სოფლის ამბულატორიეში მომუშავე სამედიცინო პერსონალისთვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ონლაინ სასწავლო მოდული „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ წარმოადგენს კარგად მომზადებულ კურსს პჯდ პროფესიონალების უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის და ხელს შეუწყობს ფქოდ-ის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად, რეკომენდაციას ვუწევთ კურსის დამტკიცებას უპგ საბჭოზე.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.11.24 12:03:55